საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

საინფორმაციო ბიულეტენი #2017-8

მის: შიო მღვიმელის ქ.#6ბ

e-mail: ethicscharter@gmail.com

AIPCE 2017 თბილისში გაიმართება

საქართველოში გაიმართება. ეს გადაწყვეტილება ცნობილი გახდა 13 ოქტომბერს ბუდაპეშტში გამართულ კრებაზე.

AIPCE 1999 წელს შეიქმნა და აერთიანებს 34 ქვეყნის თვითრეგულირების ორგანოებს. საქართველოდან ალიანსის წევრია ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, როგორც ერთადერთი დამოუკიდებელი თვითრეგულირების ორგანო ქვეყანაში. ვრცლად...

მედიამონიტორინგის შედეგების პრეზენტაცია

19 ოქტომბერს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად წარადგინა წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მედიამონიტორინგის შუალედური ანგარიში. მონიტორინგი ევროკავშირის ფინანსური დახმარებით UNDP-ს პროექტის ფარგლებში ხორციელდება ვრცლად...

ქარტიის დირექტორად ნატა ძველიშვილი მეორე ვადით დაინიშნა

ნატა ძველიშვილი პირველად ქარტიის აღმასრულებელი დირექტორი 2015 წელს გახდა. ქარტიის წესდების თანხმად აღმასრულებელი დირექტორი 1 წლის ვადით აირჩევა. უფლებამოსილების გახანგრძლივება საბჭოს ავტომატურად მხოლოდ ერთხელ შეუძლია. ამის შემდეგ კი ვალდებულია გამოაცხადოს კონკურსი ამ პოზიციაზე. ვრცლად

ქარტიის განცხადება არჩევნებთან დაკავშირებით

თვითმმართველობის არჩევნების დღეს ჟურნალისტებისთვის ხელის შეშლის გამო ქარტიამ განცხადება გაავრცელა და არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს, მათ კოორდინატორებს, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს მოუწოდა არ შეუშალონ ხელი ჟურნალისტებს პროფესიულ საქმიანობაში. ვრცლად

საბჭოს საქმიანობა

საბჭომ განიხილა 1 საქმე

- [დაჩი ცაგურია გიორგი გაბუნიას წინააღმდეგ;]

სადავო მასალა კურიერ PS-ში 23 ივლისს გავიდა. სიუჟეტის თანახმად, ბათუმის ნავთობტერმინალზე რეზერვუარების ასაშენებლად ტერიტორიის შესაძენად ოფშორულმა კომპანია "ვიბრო დიაგნოსტიკმა" 2014 წლის 8 დეკემბერს "ქართუ ბანკისგან" ათეული მილიონი დოლარის ოდენობი იპოთეკური სესხი აიღო, რასაც ამჟამად საქართველოს რკინიგზა ფარავს.

3 საქმეზე შედგა მედიაცია

- [ელენე მაკარიძესა და გელა მამულაშვილს შორის;]

განმცხადებლის თქმით, საქართველოში ის არის ერთადერთი სრულწლოვანი ელენე მაკარიძე, მას ინტერვიუ არ მიუცია ჟურნალისტისთვის. გელა მამულაშვილის ავტორობით მომზადებულ მასალაში კი სწორედ ეს სახელი და გვარი ფიგურირებდა. მასალაში სახელი და გვარი ინიციალებით შეიცვალა

- [ირმა გელაშვილსა და ორ მედიასაშუალებას შორის]

ONNEWS.GE და MEDIA.LIDER.GE-ს მასალები, რომელიც ლელა კაკულიას ხედვას შეიცავდა მომავალზე განმცხადებლის აზრით იყო ყალბი. ქარტიისთვის მომართვის შემდეგ გამოცემებმა მასალა წაშალეს,

გამოქვეყნდა სამოტივაციო ნაწილი 3 საქმეზე

- [ბექა ქირია გიორგი ფუტკარაძის წინააღმდეგ;]
- [საფარი მაია ასათიანის წინააღმდეგ;]
- [PHR ნატა ტაბიძის წინააღმდეგ;]

დასაშვებად სცნო 4 ახალი განცხადება

- [ელისო ჯანაშია რუსთავი 2-ის ჟურნალისტების წინააღმდეგ;]

განცხადების თანახმად, "კურიერში" გამოყენებული კადრები გადაღებული იყო ფოთში არსებული ონლაინ გამოცემა Tspress.ge-ს მიერ, რის შესახებაც "რუსთავი 2-ის" რედაქციამ არ მიუთითა

- [თინათინ შარაშენიძე For.ge-ს ჟურნალისტების წინააღმდეგ;]

განმცხადებელი მიიჩნევს, რომ for.ge-ს მიერ მომზადებული მასალა ოზურგეთის მერობის კანდიდატ კონსტანტინე შარაშენიძის შესახებ არასწორ ფაქტებს შეიცავს.

- [WISG მაკა რაზმაძის წინააღმდეგ;]

განმცხადებლის შეფასებით, მაკა რაზმაძის მიერ მომზადებული სადავო გადაცემა უწყობს ლგბტ ადამიანების სტიგმატიზებას და შესაბამისად, ახდენს მათი დისკრიმინაციის წახალისებას.

- [ბერი დიონისე „თბილისელების“ წინააღმდეგ;]

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ჟურნალის გარეკანზე გამოქვეყნებული სურათით იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს რაიმე შეხება აქვს გახმაურებულ "ციანიდის" სკანდალთან.

- [გიორგი მგალობლიშვილი გიორგი ჩომახაშვილის წინააღმდეგ]

განცხადების თანახმად ვიდეო ეკუთვნის ქვემო ქართლის ტელევიზიას, ინფო რუსთავმა“ კი ისე გაავრცელა, რომ არსად მიუთითა ინფორმაციის წყარო.